

სოფიო მუჯირი

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

sophio.mujiri@tsu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.46>

პროდუქტიული ფაზის მნიშვნელობა ცალმხრივი თანმიმდევრული თარჯიმნობის პროცესში

საკვანძო სიტყვები: თარჯიმანი, პროდუქტიული ფაზა, მიზანი-ენა

თარჯიმნის საქმიანობა როგორც ამოსავალ, ასევე მიზანი-ენაზე, მდგომარეობს მის მიერ მოსმენილი, გაგებული და დამახსოვრებული ტექსტის მიზანი-ენაზე ტრანსპონირებაში. თარჯიმნობის პროცესის ეს პროდუქტიული ფაზა მოიცავს ამოსავალი ენიდან მიზანი-ენაზე ტრანსფერს, რედაქტირებას და ნათარგმნის მიზანი-ენაზე გაჟღერებას.

თარჯიმანი მიზანი-ტექსტის შინაარსს ნაწილობრივ უკვე გეგმავს თარჯიმნობის წინა - რეცეფციულ ფაზაში. ტექსტის სეგმენტის გაგებისა და დამახსოვრების საფუძველზე თარჯიმანს შეუძლია გადაწყვიტოს, თუ რას გააჟღერებს ის მიზანი-ენაზე. ამის შემდეგ ის განსაზღვრავს, თუ როგორი ფორმა უნდა მისცეს სათქმელს. მისი განსჯის შედეგები სრულდება მიზანი-ტექსტის გაჟღერებით, ანუ ტექსტის „მოტორულ-ფონეტიკური რეალიზაციით“.

ეს ოპერაციები არ წარმოადგენენ ერთმანეთისაგან გამიჯნულ პროცესებს. მიზანი-ტექსტის შექმნისას ამ სამი დონის თანმიმდევრობას: კონცეპტუალიზაციას, ფორმულირებას და არტიკულაციას მხოლოდ სქემატური სახე აქვს. ეს დონეები ერთმანეთს პირდაპირ ან ირიბად უკავშირდებიან ან ემთხვევიან. მაგ. მიზანი-ტექსტის შინაარსობრივი დაგეგმვა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ითქვა წინა სეგმენტის თარგმნისას. ზოგჯერ თარჯიმანი გამონათქვამის თარგმნის დასაწყისშივე ცვლის მის შინაარსს, რომელიც განსხვავდება იმისგან, რაც მას დაგეგმილი ჰქონდა. ასე ხდება ყოველდღიურ კომუნიკაციაშიც. ადამიანი ზოგჯერ იმაზე სწრაფად ან უფრო მეტს ლაპარაკობს, ვიდრე ფიქრობდა.

ცალკეულ ოპერაციებს, რომლებიც მიზანი-ტექსტის პროდუცირებას განსაზღვრავენ - ტრანსფერს, რედაქტირებას და არტიკულაციას - შემდგომში უფრო დეტალურად განვიხილავთ.

1. ამოსავალი ტექსტის აზრის გადატანა: ამოსავალი ტექსტის აზრის ტრანსფერზე მდგომარეობს, როდესაც თარჯიმანი ამოსავალი ტექსტის ცნებების გადამუშავების შედეგად, მიზანი-ენაზე ქმნის ახალ ტექსტს, იმის გათვალისწინებით, რომ ის ადრესატმა გაიგოს. სათარჯიმნო სიტუაციაში მიზანი-ენის მატარებელ ადრესატთან ასეთ გაგებაზე ორიენტირებული თანამშრომლობა, განაპირობებს თარგმნის მთელ რიგ თავისებურებებს, რომლებსაც ნაშრომის მოცემულ ნაწილში განვიხილავთ.

ნაკლები ენობრივი კომპეტენციის და გამოცდილების მქონე თარჯიმნები, რომლებსაც ესაჭიროებათ სამყაროს, ასევე საგნობრივი ცოდნის გაღრმავება, აკეთებენ შეუსაბამო ჩანაწერებს. ასეთ შემთხვევაში თარჯიმანი ვერ აცნობიერებს ამოსავალი ტექსტის აზრს და კოჰერენტულობას, ამის მიუხედავად მაინც თარგმნის, ფაქტიურად მექანიკურად, თავისი ინტელექტის ჩართვის გარეშე (მთავარია, რაიმე თქვას). მისი ნათარგმნი ტექსტი შედგება მხოლოდ ამოსავალი ენის სიტყვების მეტ-ნაკლებად კორექტულად შერჩეული მიზან-ენობრივი შესატყვისებისაგან, რომლებიც მიჯრით არიან ერთმანეთზე მიწყობილი და არასრულად გადმოსცემენ აზრს. საბოლოო ჯამში თარჯიმანი გადმოსცემს გამონათქვამის ფორმას და არა შინაარსს. ტექსტის კოჰერენტულობაზე საუბარი ზედმეტია. თარჯიმნის მიერ ამოსავალი ტექსტის ამგვარი თარგმნის დროს კომუნიკაციის პარტნიორებთან კომუნიკაცია ვერ შედგება. შეიძლება ასეთივე მდგომარეობა შეიქმნას გამოცდილ თარჯიმნებთანაც, როდესაც ხანგრძლივი სათარჯიმნო პროცესის მიწურულს მათი კონცენტრაციის უნარი ქვეითდება.

(ახალი) მიზან-ტექსტის წარმატებით ჩამოყალიბების აუცილებელი წინაპირობაა მაღალი ენობრივი კომპეტენცია, მიზან-ენის კულტურის, დარგობრივი და სამყაროს ცოდნა, რათა შეძლოს ამოსავალი ტექსტის კარგად გაგება. და *ტექსტის გაგების საუძველზე ადეკვატური მიზან-ტექსტის შექმნა*. „თარჯიმნის გრძელვადიან მეხსიერებაში შენახული სამყაროს წინარე ცოდნა (scenes), ეხმარება მას მოსმენილი ტექსტის სემანტიკით გადმოცემული ინფორმაციის გადმოცემაში. ეს უფრო ადვილია, თუკი ის ორივე ენაზე ფლობს საქმის ვითარებასთან დაკავშირებულ ტერმინებს, შეუძლია მათი „ტრანსკოდირება“ და აღარ ესაჭიროება მათი ღრმა სემანტიკური ანალიზი“ (U. Kautz, 2000: 323). ადეკვატურად თარგმნა შესაძლოა მაშინაც, როდესაც თარჯიმანი ვერ იხსენებს შესაფერის ტერმინს, მაგრამ იმდენად კარგად ესმის საქმის არსი, რომ შეუძლია მოსმენილი ტექსტის აზრის სხვა სიტყვებით გადმოცემა. თარგმანი, რომელიც ტერმინოლოგიურად არაზუსტია, მაგრამ საქმის არსს კორექტულად გადმოსცემს, ადრესატებისთვის გასაგებია. ეს ჩანს ადრესატთა პასუხებშიც, რომლებშიც ისინი უკვე სათანადო ტერმინებს იყენებენ, რომლებსაც შემდგომში თარჯიმანიც იმეორებს.

არსებობს მეორე, ასეთივე მნიშვნელოვანი წინაპირობა ადეკვატური მიზან-ტექსტის შექმნისათვის. მართალია, ის ამოსავალი ტექსტის გაგებასთან შედარებით უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანია, მაგრამ აუცილებელია. თარჯიმანი იმდენად კარგად უნდა ფლობდეს მიზან-ენას, რომ *ბევრი ფიქრის გარეშე, სწრაფად იპოვოს საჭირო ენობრივი ერთეულები, რათა სათანადოდ გადასცეს გაგებული*. ეს კარგად ჩანს მაშინ, როდესაც თარჯიმანი ორივე ენას სრულყოფილად ფლობს, მაგრამ ვერ თარგმნის კარგად, რადგან მას აკლია თარჯიმნობის კომპეტენცია.

ისმის შემდეგი კითხვა: ზემოთ აღნიშნული წინაპირობა, რომლის მიხედვითაც თარჯიმანს უნდა ჰქონდეს სწრაფი ასოციაციების, მათი ურთიერთდაკავშირების და სუვერენული ფორმულირების უნარი, უფრო მეტად გამოხატულია დედა ენაზე თუ უცხო ენაზე თარგმნისას? თუ არ მივიღებთ მხედველობაში ბილინგვურ პიროვნებებს, პასუხი ყოველთვის ერთადერთი იქნება – დედაენაზე. აქედან გამომდინარეობს სამართლიანი მოთხოვნა, რომ ცალმხრივი კონზერვატიული თარგმნისას თარჯიმანი უნდა თარგმნიდეს დედა ენაზე.

მიზან-ენაზე თარგმნის ტემპი, არ უნდა ახდენდეს გავლენას მიზან-ტექსტის ადეკვატურ ვერბალურ გაფორმებაზე. თარჯიმანმა იცის, რომ მას აქვს მოსმენილის გაგების

მხოლოდ ერთი შანსი. მოსმენილის გაგების ასეთივე ერთჯერადი შესაძლებლობა აქვს მიზან-ტექსტის მსმენელ აუდიტორიასაც. თარჯიმანს არ შეუძლია, მთარგმნელივით რამდენჯერმე გადაიკითხოს ტექსტი და შეასწოროს თარგმანი. ეს იმას ნიშნავს, რომ *თარჯიმანმა ზუსტად და გარკვევით უნდა გადმოსცეს მოსმენილის აზრი*. გამოცდილი თარჯიმანი ყოველთვის ცდილობს გამომსვლელის რთული და აბსტრაქტული მეტყველების მანერა შეძლებისდაგვარად რიტორიკულად ეფექტური და გამარტივებული სახით მიაწოდოს თავის ადრესატს.

II. როგორ იქცევა თარჯიმანი მიზან-ტექსტის შექმნისას? თარჯიმნის მიერ მიღებული ცალკეული სტრატეგიული გადაწყვეტილებები შეიძლება ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ იმიტომ, თუ როგორია მოცემული საკომუნიკაციო სიტუაცია და მისი ცალკეული კომპონენტები:

1. თარჯიმანი ამოსავალი ტექსტის მიზან-ენაზე გადატანისას, უმთავრესად იყენებს მის მეხსიერებაში შენახულ ლექსიკურ და სინტაქსურ ეკვივალენტებს (ის ახდენს ტექსტის *ტრანსკოდირებას*);

2. გამომსვლელის ნათქვამის აზრს თარჯიმანი გადმოსცემს უფრო ლაკონურად, თანმიმდევრულად და ადრესატისათვის უკეთ გასაგებად (თარჯიმანი ახდენს *პარაფრაზირებას*);

3. თარჯიმანი გამორიცხავს ზედმეტ, რედუქციულ ინფორმაციას (ის ახდენს ტექსტის *კომპრიმირებას ანუ რედუცირებას*);

4. თარჯიმანი წინა პლანზე წამოსწევს რელევანტურ, მნიშვნელოვან ინფორმაციას (ის კონკრეტულ დეტალებზე ამახვილებს ყურადღებას, ახდენს მათზე *ფოკუსირებას*);

5. თარჯიმანი ვერბალურად გადმოსცემს მოსაუბრის მიერ ნაგულისხმევ, იმპლიციტურ აზრს (ის მოსაუბრის ნათქვამს განავრცობს, ანუ ახდენს მის *ექსპანდირებას*);

6. თარჯიმანი თარგმნის მის მიერ გაგებულ ძირითად აზრს და არა ყველა დეტალს (ის ტექსტს განაზოგადებს, ახდენს მის *გენერალიზაციას*);

7. თარჯიმანი გუმანით ხვდება იმას, რაც გამომსვლელს ბოლომდე ჯერ არ უთქვამს, მაგრამ მიაინშნებს თარჯიმანს თავის მოსაზრებებზე გარკვეული სიგნალებით (თარჯიმანი წინასწარ ხვდება მოსალოდნელ ინფორმაციას, ანუ ახდენს *ანტიციპაციას*);

8. თარჯიმანი მის მიერ უკვე ნათარგმნი ტექსტის სეგმენტების, ასევე, თავისი ზოგადი ლოგიკისა და სამყაროს ცოდნის საფუძველზე ასკვნის, თუ რა თქვა გამომსვლელმა. ეს მაშინაც ხდება, თუ მოცემულ სიტუაციაში თარჯიმანს რაღაც უშლის ხელს (მაგ.: გამომსვლელის საუბრის სწრაფი ტემპი, ხანმოკლე აკუსტიკური გაუგებრობა, ხმაური, ან თავად თარჯიმნის არასრული ლექსიკურ/ტერმინოლოგიური მარაგი (რაც ნიშნავს, *ინფერენცირებას*, ანუ თარჯიმნის აზრის გადმოცემას);

9. თარჯიმანი ახდენს მოსმენილი (რელატიურად სრულყოფილი) აზრობრივი ერთეულების იდენტიფიცირებას და მათ უწყვეტ დამუშავებას (ანუ თარჯიმანი ახდენს ამოსავალი ტექსტის *დანაწევრებას, სეგმენტაციას*);

10. თარჯიმანი ლოგიკური დასვნების საფუძველზე აკონტროლებს, თუ რამ-დენად სწორად გაიგო მან ამოსავალი ტექსტი და რამდენად სწორად თარგმნის მას (ანუ ის ახდენს საკუთარი თავის პერმანენტულ *მონიტორინგს*). (იხ.: U. Kautz, 2000: 324-325).

თარჯიმნობის პროცესში, თარჯიმანს შეუძლია ფიქრის გარეშე, ავტომატურად მიიღოს გადაწყვეტილებები, რომლებიც მას „რეფლექსივით“ უნდა ჰქონდეს გამომუშავებული საკუთარი ცოდნის, გამოცდილების, ფიქრისა და ვარჯიშით. თარჯიმანთა

სწავლებისა და ტრენინგის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, რომ დამწყებ თარჯიმნებს გამოუმუშავდეს ეს არაცნობიერი, ავტომატიზირებული სტრატეგიები და ტექნიკები. დამწყებ თარჯიმნებს ერთი მხრივ უნდა გავაცნოთ სტრატეგიები, მეორე მხრივ კი, მივცეთ შესაფერისი სავარჯიშოები ავტომატიზაციის მაქსიმალურად მაღალი ხარისხის გამოსამუშავებლად. თარჯიმანმა სტრატეგიები და ცალკეული ტექნიკები ყოველ-თვის უნდა გამოიყენოს კომპინაციაში და თარგმნოს ინდივიდუალური პროცესიდან და გარემოებებიდან გამომდინარე. ამასთან, მან ყურადღება უნდა მიაქციოს მიზან-ტექსტის ლინეარულ ხასიათს. სალევსკი წერს: „ყველა ვისაც ენობრივ ფენომენტთან აქვს საქმე თარჯიმნობასთან კავშირში, იძულებულია გაითვალისწინოს კომუნიკაციური ერთეულების (ან მისი სეგმენტების) ლინეარული თანმიმდევრობა, ვინაიდან პრაქტიკულად მიზან-ენაზე ნიშანთა ლინეარული თანმიმდევრობა რეალიზებულია როგორც მიზან-ტექსტის ან მისი სეგმენტების კომუნიკაციური ეკვივალენტები“ (იხ.: H. Salevsky, 1987:74). კომუნიკაციის „მსჯელობის საგნიდან,“ თარჯიმნობის სუბიექტური ფაქტორებიდან და თარჯიმნის ინდივიდუალური თვისებებიდან გამომდინარე, შესაძლოა სათარგმნი ერთეულის მოდიფიკაცია: მისი გაფართოება ან შეკუმშვა. ტექსტის ან გამონათქვამის ყველა სეგმენტის რეცეფციისა და შემდგომი დამუშავების დროს, თარჯიმანი აკონტროლებს ტექსტის როგორც წინამავალი, ასევე შემდგომი სეგმენტების აზრს.

თარჯიმნის პრაგმატული, ენობრივი და კულტურულად სპეციფიკური პრობლემების გადაჭრის მეთოდი იგივეა რაც მთარგმნელისათვის. მაგრამ, მნიშვნელოვანი განსხვავება ცალკეული პრობლემის სირთულესთან მიმართებაში: საკომუნიკაციო სიტუაციის თავისებურების გამო, თარჯიმნისათვის პრაგმატული პრობლემების გადაჭრა უფრო ადვილი უნდა იყოს, ვიდრე მთარგმნელისათვის, რადგანაც ტექსტის ავტორი და ადრესატები თავად ესწრებიან თარჯიმნობის პროცესს და მათი ერთანეთთან კომუნიკაცია შესაძლებელია. ისევე, როგორც თარჯიმანი გაგების პროცესში იყენებს მისთვის ცნობილ ინფორმაციას ტექსტის ავტორის (გამომსვლელის) შესახებ, ასევე იყენებს ის მისთვის ცნობილ ინფორმაციას მსმენელების (ადრესატების) შესახებ ახალი, მიზან-ტექსტის შექმნისათვის. თარჯიმანმა მიზან-ტექსტის შექმნისას უნდა გაითვალისწინოს არა მხოლოდ ინტელექტუალური, არამედ ენობრივი, ვერბალური წანამდგრებიც. თარჯიმნის მიერ მიზან-ტექსტის შექმნა ყოველთვის მორგებული უნდა იყოს სპეციფიკურ სიტუაციაზე, მის პირობებსა და აქტანტებზე (მონაწილე პირებზე).

პრობლემები, რომლებიც უკავშირდება ენათა სპეციფიკურ ხასიათს, თარჯიმნისათვის ისეთივეა, როგორც მთარგმნელისთვის. თუმცა, თარჯიმანთან საქმე რთულადაა დროის ნაკლებობის გამო. თარჯიმანს ეძლევა გარკვეული „ბონუსი“. მაგალითად, ადრესატები მეტი გაგებით ეკიდებიან თარჯიმნის ინტერფერენციულ შეცდომებს, ვიდრე მთარგმნელთა შეცდომებს, ვინაიდან თარჯიმნები ექცევიან დამსწრე, უცხოენოვანი კომუნიკაციის პარტნიორების მეტყველების თავისებურებების ზეგავლენის ქვეშ. თუ მიზან-ტექსტის გადმოცემის მანერა, სტილი და ა. შ., ასევე მცირედი გრამატიკული შეცდომები კომუნიკაციას არ აბრკოლებენ, მაშინ თარჯიმნის მიმართ უცხოენოვან დამსწრეთა განწყობა ტოლერანტულია.

სტილისტური პრობლემები (მაგ: ზოგიერთი ენისთვის დამახასიათებელი ხშირი გამეორებები - როგორც ემოციის გამოხატვის საშუალებები - შეიძლება დამღწევი აღმოჩნდეს მიზან-ენაზე მსმენელებისათვის, რაც თარჯიმნობის პროცესში შეიძლება ძნელად მოგვარდეს.

განსაკუთრებით შეზღუდულია სათარჯიმნო სიტუაციაში კულტურულად სპეციფიკური პრობლემების ადეკვატურად მოგვარების შესაძლებლობა. თარგმნილ ტექსტს მსმენელი აღიქვამს როგორც არაკოჰერენტულს, მიუხედავად იმისა (ან ზუსტად იმიტომ!), რომ თარჯიმანმა ზუსტად ის თარგმნა, რაც გამომსვლელმა თქვა. ამისი ახსნა ასეთია: წყარო-ტექსტში იმპლიცირებული *scene* იმდენად ცნობილია, რომ იგი ვარაუდობს, რომ ასეთივე პრესუპოზიცია მსმენელსაც გააჩნია. თარჯიმანმა ეს იცის და ხვდება გამომსვლელის ნათქვამს, მაგრამ დროის რეგლამენტი არ აძლევს საშუალებას, დაეხმაროს მსმენელს უკვე ნათქვამი ტექსტის გაგებაში, ანუ მის ექსპლიციტურ განმარტებაში (იხ.: Fr. Pöchhacker, 2017: 42-46).

კიდევ რამდენიმე მაგალითი: გერმანელ მეცნიერს, რომელიც საკუთარი თავის დასახელების ნაცვლად, უპირატესად უპირობო ნაცვალსახელებს იყენებს, ეუცხოება და არაოპიექტურად მიაჩნია, როდესაც თარჯიმანი მისი მოხსენების ბრაზილიურ ენაზე თარგმნისას მას ყოველთვის „მე“-ნაცვალსახელით იხსენიებს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ბრაზილიურ-პორტუგალიურში ასეთია ტექსტის ტიპის ნორმა, სტანდარტი. თარჯიმანს კი უბრალოდ არ ჰქონდა საკმარისი დრო, რომ გერმანული ტექსტის ტიპის სტანდარტზე გადასულიყო. ან როდესაც ჩინელი მოლაპარაკების დროს ამბობს, რომ: „განსაზღვრული პრობლემის გადაჭრის დროს, გერმანელთა წარმოდგენებში, იქმნება გარკვეული სირთულეები.“ გერმანელმა მსმენელმა ეს ნათქვამი შეიძლება მიიღოს როგორც: „ჩვენ უარვყოფთ თქვენს წარმოდგენებს“. სინამდვილეში თარჯიმანმა დროის სიმცირის გამო ვერ მოახერხა ჩინური გამონათქვამის ექსპლიციტური განმარტება მიეწოდებინა გერმანელისათვის. ენათა კულტურულ სპეციფიკასთან დაკავშირებული განსაკუთრებით ხშირი ფორმალური პრობლემაა, რომ დროის დეფიციტის გამო თარჯიმანს ხშირად არ შეუძლია ზომის ერთეულების გამოანგარიშება.

თარჯიმნობის პროცესი, რომელსაც ესწრებიან როგორც ამოსავალი, ასევე მიზან-ენის კულტურის წარმომადგენლები. თუ მაგ., გერმანელი გამომსვლელი თავის მოხსენებაში, თუნდაც სრულიად უწყინარი ფორმით მიაწიშნებს სექსუალურ საკითხზე, ამან შესაძლოა გერმანელი მსმენელი გაამხიარულოს. ჩინელებზე მსგავსი ფაქტი უსიამოვნო შთაბეჭდილებას მოახდენს, რაც თარჯიმანმა, რა თქმა უნდა, იცის, მაგრამ მიუხედავად ამისა, მას არ შეუძლია ამ კონკრეტული მინიშნების გამოტოვება, რადგან ასეთ შემთხვევაში ჩინელი მსმენელისათვის გაუგებარი გახდება გერმანელების მხიარულების მიზეზი.

ამდენად, ნათელია, რომ თარჯიმანმა სიტყვათა ნაკადიდან სწრაფად უნდა ამოიცნოს ტექსტის აზრი. ამას ემატება ისიც, რომ მან ასევე უნდა შეძლოს ამოსავალი ტექსტის აზრის ეფექტურად გადატანა მიზან-ენაზე, მიზან-ენის ვერბალური საშუალებებით. ამაში თარჯიმანს ეხმარება მიზან-ტექსტის რედაქტირება.

III. მიზან-ტექსტის რედაქტირება: ზეპირად გადმოცემული ტექსტის შემთხვევაში შეიძლება ვისაუბროთ მხოლოდ გამომსვლელის სიტყვის წინასწარი რედაქტირების შესახებ. ის, თუ რაზეა კონკრეტულად საუბარი, მომდევნო მონაკვეთში გადმოვცემთ. როდესაც საქმე თარგმანს ეხება, ამოსავალი ტექსტის უბრალო „გადაკოდირება“ შეუძლებელია. ასევე დაუშვებელია, როდესაც თარჯიმნობის პროცესში დამკვეთი ითხოვს თარჯიმნისაგან: „უბრალოდ თარგმნეთ ყველაფერი, რაც ითქვა!“ დამკვეთი ვერც კი ხვდება, რას ითხოვს სინამდვილეში. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მას წარმოდგენა არა აქვს თარჯიმნის საქმიანობაზე (იხ.: Kautz, 2000: 328).

თარჯიმანმა სათარგმნი ტექსტი ჯერ უნდა მოისმინოს, გაიგოს, დაიმახსოვროს, შემდეგ საბოლოოდ დაამუშავოს და მხოლოდ ამის შემდეგ გააჟღეროს მიზან-ენაზე. რედაქტირების მოცემული პროცესი ჯერ არ ნიშნავს მიზან-ტექსტის სრულყოფილად ჩამოყალიბებას. ამას თარჯიმანი უკვე მიზან-ტექსტის გაჟღერების *პროცესში* აკეთებს. რას ვგულისხმობთ თარჯიმნის მიერ მიზან-ტექსტის რედაქტირებაში? უპირველეს ყოვლისა, *რელევანტურობისა და რედუნდანტულობის თანაფარდობის დაცვა-დარეგულირებას*. ჩვენ ვიცით, რომ ყოველი ტექსტი, განსაკუთრებით კი – ზეპირი ტექსტი, შეიცავს არა მხოლოდ რელევანტურ, არამედ რედუნდანტულ ელემენტებსაც, რაც აუცილებელია მოცემული ტექსტის კარგად გაგებისათვის. ტექსტის გაგებას ხელს უწყობენ გამომსვლელის მიერ მოყვანილი მაგალითები, გამეორებები, პერიფრაზები და სხვ. მაგრამ ზოგ შემთხვევაში გამომსვლელი რედუნდანტულ ინფორმაციას ჭარბად იყენებს. ასეთი ჭარბსიტყვიანობა უმთავრესად გამოწვეულია გამომსვლელის არასრულყოფილი მეტყველებით. ზოგი გამომსვლელი ხშირად აკეთებს პაუზებს, რათა ამ დროში მოიფიქროს სათქმელის ოპტიმალური ფორმატირება. თარჯიმნის ამოცანაა, გამომსვლელის ჭარბ-სიტყვიანობა ტექსტის გაჟღერების დროს შეამციროს და შეძლოს სტრუქტურირებული, სინტაქსურად აღქმადი, ლექსიკურად ადეკვატური და სტილისტურად გამართული მიზან-ტექსტის შექმნა. ამავე დროს თარჯიმანმა იცის, რომ ის კომუნიკაციის პარტნიორების „დაკვირვების ობიექტია“, მათი კონტროლის ქვეშაა და რომ ისინი შესაძლებლობის შემთხვევაში სიამოვნებით გადავლენ მასთან პირდაპირ კომუნიკაციაზე. ამიტომ თარჯიმანი ცდილობს რაც შეიძლება ნაკლები დრო დახარჯოს ტექსტის ინტერპრეტაციაზე და თარგმნის რაც შეიძლება „ეკონომიურად“ და ეფექტურად. მოვიყვანოთ მარტივი მაგალითი პრაქტიკიდან: გამომსვლელი ოვერჰედის სლაიდს აჩვენებს, რომელზეც ტაბულაა გამოსახული და ამბობს: „აქ ამ ვერტიკალურ სვეტში მარჯვნივ, სადაც მოცემულია ზღვრული სარგებელი..., მე გთხოვთ ეს არ აურიოთ ტოლერანტობის ზღვართან, მართალია ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული არიან, მაგრამ მათ შორის არაა ტოლობის ნიშანი... ანუ თქვენ აქ იპოვნით 0,03 მმ. სარგებელს (ღირებულებას)“. გამომსვლელი ლაპარაკის პროცესში თითოთა აჩვენებს სათანადო ადგილს სლაიდზე. თარჯიმანი თარგმნის გერმანულად: „აქ ზღვრული სარგებელია, რომელიც არ არის ტოლერანტობის ზღვრის იდენტური. ჩვენთვის საინტერესო ზღვრული სარგებელი არის 0,03 მმ“. ამასთან თარჯიმანი მიუთითებს გამომსვლელის მიერ ნაჩვენებ სვეტზე, შემდეგ კი სათანადო ადგილზე სლაიდში. ანუ თარჯიმანმა ითავა ტექსტის რედაქტირება, მისი ვერბალური „გადამუშავება“ და ამავე დროს, ეფექტური ნონვერბალური საშუალებების გამოყენებით, მიზან-ტექსტი შეამოკლა ამოსავალ ტექსტთან შედარებით, რათა ის მსმენელისათვის უფრო გასაგებად წარმოედგინა (იხ.: Kautz, 2000: 329). ასეთი სიტუაცია ხშირია მაშინ, როდესაც გამომსვლელს სიტყვა არა აქვს კარგად მომზადებული და ნათქვამს არაეფექტურად გადმოსცემს. ის თარჯიმნისაგან განსხვავებით, არ არის დახელოვნებული ტექსტის პროდუცირებაში. ასეთ შემთხვევაში მსმენელს უჭირს მისთვის რელევანტური ინფორმაციის გამორჩევა რედუნდანტულისაგან. თარჯიმანმა მიზან-ტექსტის შექმნის პროცესში რელევანტურ ინფორმაციაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება. კომუნიკაციის პირველი პარტნიორი ეკითხება თანხლებ თარჯიმანს: „რამდენი სტუდენტი ცხოვრობს ამ საერთო საცხოვრებელში?“ კომუნიკაციის მეორე პარტნიორი პასუხობს: „საერთო საცხოვრებელი სამი წლის წინ ააშენეს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო, სტუდენტები იქ მხოლოდ ორი წლის წინ შესახლდნენ. ჩვენ გვაქვს ოცი ორ – და ოთხსაწოლიანი ოთახები, ანუ

120 სტუდენტის ადგილი. ამჟამად საერთო საცხოვრებელში მხოლოდ 115 ადგილია დაკავებული“. კითხვის დამსმელს აინტერესებდა მხოლოდ საერთო საცხოვრებელში მცხოვრებ სტუდენტთა რაოდენობა. დანარჩენი ინფორმაცია მისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია. მაგრამ თარჯიმანმა თავს უფლება არ მისცა გამოეტოვებია კომუნიკაციის მეორე პარტნიორის ნათქვამი. თუმცა, ტექსტის რედაქტირების პროცესში მან შეცვალა სულ ცოტა, წინადადების სიტყვათაწყობა: „ამჟამად აქ 115 სტუდენტი ცხოვრობს. თუმცა ადგილი 120 სტუდენტს ეყოფოდა, რადგან საერთო საცხოვრებელში ოცი ორ – და ოთხსაწოლიანი ოთახია. სხვათა შორის, საერთო საცხოვრებელი 3 წლის წინ აშენდა, მაგრამ სტუდენტები იქ მხოლოდ ორი წლის წინ შესახლდნენ“ (იქვე).

სათარჯიმნო სიტუაციაში ყოველთვის შეიძლება აღმოვაჩინოთ, რომ ამოსავალ ენაზე მეტყველი გამომსვლელი საკმაოდ მკაფიოდ გამოთქმულ ცნებას ან აზრს იმეორებს. ეს მისი მხრივ, ემსახურება ემფაზის, ემოციის შექმნას (მაგ. ლათინური ამერიკის გამომსვლელებთან). თუმცა, მან ეს შეიძლება სპეციალურად თარჯიმნის საყურადღებოდ გააკეთოს. გამომსვლელი ვარაუდობს, რომ თარჯიმანი მასალის სირთულის გამო, როგორც მოცემული დარგის არასპეციალისტი, ვერ გაართმევს თავს თარგმანს. ასეთ შემთხვევაში თავად თარჯიმანმა უნდა გადაწყვიტოს, ამ რედუნდანტულ გამოთქმებს ის თარგმნის თუ გამოტოვებს. ავიღოთ ამის საპირისპირო შემთხვევა – ამოსავალი ტექსტი შეიცავს რედუნდანტული ერთეულების მინიმუმს. შესაბამისად, ის გაჯერებულია რელევანტური ინფორმაციით და საკმაოდ შეკუმშულია. პრაქტიკაში ასეთი სიტუაცია გვხვდება ე. წ. „მანუსკრიპტული მეტყველების“ დროს, ანუ როდესაც გამომსვლელი სალიტერატურო ენაზე დაწერილი ხელნაწერიდან კითხულობს. ასეთ შემთხვევაში თარჯიმნის ამოცანაა, ფუნქციონალურად რედუნდანტული ელემენტების ჩართვით, მსმენელისათვის უფრო გასაგები გახადოს გამომსვლელისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია. სინქრონული თარგმნისას, დროის სიმცირის გამო ეს უფრო რთულია. ხშირად გამომსვლელი ვერ აცნობიერებს გაგებისათვის აუცილებელ წინაპირობებს, რომლებიც საჭიროა მიზან-ენაზე მოლაპარაკე მსმენელისათვის. მაგრამ თარჯიმანს შეუძლია – როგორც მიზან ენისა და კულტურის ექსპერტს – ასეთი წინაპირობები სწორად შეაფასოს. ინფორმაციის მიზან-ენაზე ვერბალიზების პროცესში, მას შეუძლია ისე გაზარდოს რედუნდანტულობის ხარისხი (რომელსაც ამოსავალი ენა იმპლიციტურად შეიცავს), რამდენადაც ეს საჭიროა გამომსვლელის ინტენციის და მსმენელთა მიერ ტექსტის გაგებისათვის.

რუსულ-გერმანული ურთიერთობების ისტორიასთან დაკავშირებულ სიტყვაში, გამომსვლელმა თქვა: „ეს იყო (ურთიერთობათა) ისეთი განვითარება, რომელიც საუ-კუნეთა მანძილზე გაგრძელდა. ამას გვიჩვენებენ შედეგები, რომლებმაც პირველი გერმანული დასახლების დაფუძნება განაპირობეს. ასეთი ფაქტი მხოლოდ პეტრე პირველის დროს არ გვხვდებოდა! ივანე მრისხანეს დროსაც არსებობდა სავაჭრო ურთიერთობები დასავლეთთან, მაგ. ქ. ლიუბეკთან. „გერმანული გარეუბანი“ იყო ისეთი დასახლება, სადაც ცხოვრობდნენ არა მხოლოდ ვაჭრები, არამედ სხვა პროფესიის წარმომადგენლებიც, თუმცა პირველები სჭარბობდნენ“. თარჯიმანმა, რომელიც ამ სიტყვას ჩინურად თარგმნიდა, წარმოთქვა: „ეს განვითარება გრძელდებოდა რამდენიმე საუკუნე. იყო სხვადასხვა ისტორიული მოვლენა, რომლებმაც საბოლოოდ განაპირობეს პირველი გერმანული დასახლების დაფუძნება. ურთიერთობა დასავლეთ ევროპასთან, პირველ რიგში, დაიწყო გერმანულ საპორტო და სავაჭრო ქალაქ ლიუბეკთან ვაჭრობით. თუმცა, მოსკოვის „გერმანული გარეუბანი,“

მიუხედავად ვაჭართა მრავალრიცხოვნებისა, არ იყო მხოლოდ ვაჭრებით დასახლებული“ (იხ.: Kautz, 2000: 330).

მიზან-ტექსტში ინფორმაციის დამატება და გამოტოვება ყოველთვის სარისკოა. ეს თარჯიმანმა კარგად უნდა გაიაზროს. „ეკონომიური“ თარჯიმნობისათვის გასათვალისწინებელია რედაქტირების შემდეგი ნაბიჯი: თარჯიმანმა დროში გაწეილი ფორმულირებები შეძლებისდაგვარად უნდა შეკვეცოს და ისე გადაიტანოს მიზან-ენაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თარჯიმანმა რაც შეიძლება ბევრი უნდა ივარჯიშოს ტექსტის ვერბალური და შინაარსობრივი ინფორმაციის შეკვეცილი ფორმით გადმოსაცემად. ეს განსაკუთრებით ნათელი მაშინ ხდება, როდესაც მხედველობაში მივიღებთ ენათა შორის არსებულ ტიპოლოგიურ განსხვავებებს. ზოგიერთი ენისათვის დამახასიათებელია ექსტრემალურად გრძელი სიტყვები და შესაბამისად, ამ სიტყვათა მარცვლების დიდი რაოდენობა. ყველას შეუძლია იმის წარმოდგენა, თუ რა პრობლემები იჩენს თავს ტიპოლოგიურად განსხვავებული ენების თარგმნისას. ამ მხრივ, მეტი პრობლემები ექმნება სინქრონისტ თარჯიმანს. თუ მაგალითად ჩინელი გვიყვება „lianhe gongbao“-ზე, მაშინ მასთან შედარებით გერმანელს იგივე სათქმელისათვის ორჯერ მეტი დრო სჭირდება, სიტყვების მარცვალთა მეტი რაოდენობის გამო. იგივე ენობრივ წყვილში ენობრივი და შინაარსობრივი შემოკლების (რედუცირების) მაგალითია, როდესაც გერმანელი გამიზნულად იყენებს პირის ნაცვალსახელებს, მაშინ როდესაც ჩინელი ცდილობს მისი ენისათვის დამახასიათებელი არსებითი სახელებით შეცვლას (იხ.: Kautz, 2000: 331).

და ბოლოს, კიდევ ერთი განსაკუთრებული შემთხვევა უნდა აღვწეროთ, რომელსაც თავად გამომსვლელი ან მსმენელი ითხოვს თარჯიმნისაგან: „თარგმნეთ მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანი“! ნიშნავს თუ არა ეს ზოგიერთი ინფორმაციის რედუცირების მოთხოვნას? ასეთი მოთხოვნის შედეგი ისაა, რომ თარჯიმანმა აღარ გააგრძელოს თანმიმდევრული თარგმნა, გამოტოვოს ტექსტის რედაქტირების პროცესი და გამოავლინოს ადაპტაციის ექსტრემული უნარი. მკაფიო და მკაცრი მოთხოვნის მიუხედავად, თარჯიმანმა ტექსტის მოსმენისა და გაგების პროცესში თავად უნდა ჩამოაყალიბოს კონცეპტი იმის შესახებ, თუ ამოსავალ ტექსტში რა არის აზრობრივად რელევანტური და მხოლოდ ეს თარგმნოს. მეორე მხრივ, ხშირად შეუძლებელია გამომსვლელის ტექსტის ჩქარი ტემპით წარმოთქმის და ტექსტის მინიმალური რედუქციონის პირობებში, თარჯიმანმა „ყველაფერი“ თარგმნოს. ეს უჭირთ არა მხოლოდ დამწყებ, არამედ გამოცდილ თარჯიმნებსაც.

IV. მიზან-ტექსტის გაჟღერება: თარჯიმნობის პროცესში, კომუნიკაციის სხვა პარტნიორებისაგან განსხვავებით, თარჯიმანს ევალება პროფესიონალურად იმეტყველოს. მის მიმართ, სავსებით სამართლიანად, მაღალი მოთხოვნებია წაყენებული, რასაც მოცემულ მონაკვეთში განვიხილავთ.

თარჯიმანი ტექსტის გაჟღერებას იწყებს მხოლოდ იმის შემდეგ, რაც მან უკვე გაიგო და ჩაწვდა ამოსავალი ტექსტის აზრს. თუ ის ამ ეტაპებს არ გაითვალისწინებს და უბრალოდ მიჯრით წარმოთქვამს ერთმანეთთან მეტ-ნაკლებად ურთიერთდაკავ-შირებულ სიტყვებს, მაშინ მიზან-ტექსტის ეფექტურ თარგმნაზე ლაპარაკი ზედმეტია.

თარჯიმანს ხშირად ადარებენ მსახიობს. მართალია ორივე ხალხის წინაშე გამოდის, მაგრამ მათი შედარება არც თუ ისე ზუსტია. მსახიობს წინასწარ უსაზღვრავენ მოცემულ სპექტაკლში სათქმელის აზრს და ფორმას. მისი ამოცანაა გარდაიქმნას ავტორის მიერ გამოგონებულ პერსონაჟად, თუმცა მას ავტორის დასწრების გარეშე შეუძლია გამოავლინოს

ინტერპრეტაციის უნარი. რაც შეეხება თარჯიმანს, ის ამოსავალი ტექსტიდან თავად ქმნის მიზან-ტექსტს.

რა აქვთ საერთო მოთხოვნებს, რომლებსაც უყენებენ მსახიობსაც და თარჯიმანსაც – ბევრი რამ. ორივემ უნდა გაითვალისწინონ შემდეგი წინაპირობები, რათა მსმენელებმა მათი ნათქვამის კარგად გაგება და ინტერპრეტაცია შეძლონ: მათ სათქმელისა და კომუნიკაციის სიტუაციის შესაბამისად უნდა გააჟღერონ მიზან-ტექსტი: მკაფიოდ, სათანადო ხმის ინტენსივობით, ტემპით და სასიამოვნო ტემბრით, დაიცვან გერმანული ენის სალიტერატურო და ორთოეპიული ნორმები, გაითვალისწინონ ინტონაციის თავისებურებები, კორექტულად გამოიყენონ ნონვერბალური საშუალებები („სხეულის ენა“, მიმიკა და ჟესტები) და წარმოაჩინონ დახვეწილი რიტორიკული უნარები.

თარჯიმნის პროფესია მოითხოვს აუდიტორული და კინესთეტიკური კონტროლის მექანიზმების შესწავლას, მეტყველების კულტურაში დახელოვნებას და მსმენელთა წინაშე გამოსვლისას საკუთარი ემოციების კონტროლს (Pöchhacker, 2017: 42-47).

Literatur:

1.Kautz, U. (2000): Handbuch Didaktik des Übersetzens und Dolmetschens, Iudicium Verlag, Goethe Institut, S. 327-333.

2.Pöchhacker, Fr. (2017): Dolmetschen, StauFFenburg Verlag, Tübingen, S. 42-47.

3.Salevsky, H. (1987): Probleme des Simultandolmetschens. Eine Studie zur Handlungsspezif. Linguistische Studien, Reihe A, 154. Berlin. S. 74.

Sophio Mujiri

Iv. Javakhishvili Tbilisi State University
Tbilisi, Georgia

sophio.mujiri@tsu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.46>

The meaning of the productive phase is one-way sequential

Abstract

In the process of one-way, consecutive translation, two phases are distinguished: 1. Reception phase, which involves listening to the source text, understanding, remembering what was understood and making a note and 2. The productive phase, which is the phase of construction of the target text and its verbal production by the translator.

In this article, we focus on the productive phase. This phase includes the transfer from the source language to the target language by the translator, editing of the translated text and rendering it into the target language. The translator partially plans the content of the target text already in the reception phase. Based on hearing, understanding and memorizing a piece of text, he can already decide what it will sound like in the target language. At the same stage, the interpreter determines what form he should give to say.

A translator literally creates a new text in the target language. The prerequisite for its creation is that the translator must have good linguistic competence, knowledge of the culture of the target

language, the given field of study and the “World” in order to be able to create an adequate target text based on the source text.

The translator’s strategic decisions may differ depending on the given communication situation and its individual components, such as: When translating the source text into the target language, by the translator, lexical-syntactic transcoding of the text, paraphrasing for better understanding by the addressee, compression or reduction information, accentuation of specific details Generalization of the main ideas of the text, assumption of the information expected by the translator, anticipation of the communicative situation, logic, knowledge of the world etc.

The creation of the target text by the translator must always be adapted to the given, specific situation, its conditions and actants (participating persons). The translator must be able to adequately solve problems as a specific nature of working languages and culturally important issues.

The translator must first process the text to be translated and only then pronounce it in the target language. Editing of the target text by the translator takes place only in the process of speaking the target text. By editing we mean maintaining the ratio of relevance and redundancy.

Key words: Translator, productive phase target language